ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6278935

ნომერი: AR1941652

თარიღი : 27.12.2022

გაცემის თარიღი : 10.01.2023

გაცნობის თარიღი : 12.01.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი, N 12ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 27 დეკემბერს №AR1941652 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 19 სექტემბრის №ბ17.01222623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №2964226 ბრძანებით №01.19.20.007.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი და კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №3058227 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3226152 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 25 ნოემბრის №2964226 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად დაფიქსირდა 3113.66 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობად - 1527.36 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 289.33 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად - 256.93 კვ.მ., ხოლო, სარდაფის 380.86 კვ.მ. ფართობის ნაცვლად დაფიქსირდა ავტოსადგომის - 372.10 კვ.მ. ფართობი.
სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138005 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №3058227 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 19 სექტემბრის №ბ17.01222623 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. თბილისში, ჯავახეთის II შესახვევი, №12ა-ში მდებარე №01.19.20.007.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი).
წინამდებარე, განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 19 სექტემბრის №ბ17.01222623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას მშენებლობადამთავრებული ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 2022 წლის 19 სექტემბრის №ბ17.01222623 ბრძანება წარმოადგენს არა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის, არამედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 19 სექტემბრის №ბ17.01222623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.